



**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
აღმასრულებელი საბჭოს  
სხდომის ოქმი**

თარიღი: 26 ოქტომბერი, 2021

სხდომის დაწყების დრო: 16:00

ადგილმდებარეობა: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ 11.

**სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:** დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, ნათია კორკოტაძე, გიორგი თევზაძე, მარიამ კუბლაშვილი, ტარიელ კაკაბაძე, გიორგი ტურაზაშვილი, დათუნა მოდებაძე.

**საკითხი 1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2021 წლის საანგარიშო საერთო კრების საორგანიზაციო საკითხების განხილვა.**

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია მოახლებული საერთო კრების შესახებ. მან განმარტა, რომ მიმდინარე წელს დაგეგმილია ორი - ასოციაციის ყოველწლიური - საანგარიშო და ასოციაციის მმართველი ორგანოების არჩევნების საკითხისადმი მიძღვნილი საერთო კრება, რომლებიც ქვეყანაში შექმნილი პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე, სრულად უნდა იყოს შესაბამისობაში დაწესებულ რეგულაციებთან და ამავდროულად, ჩატარდეს შეუფერხებლად და გამჭვირვალედ. ამ მიმართულებით აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს მუშაობა.

მან წევრებს შესთავაზა წინადადება ასოციაციის 2021 წლის საანგარიშო საერთო კრების ჩატარების თარიღად მ/წლის 14 ნოემბრის და ჩატარების ადგილად საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (მისამართი: ქალაქი თბილისი, წინანდლის ქუჩა N9) განხილვის შესახებ.

ასევე, წევრებმა იმსჯელეს საანგარიშო საერთო კრების დღის წესრიგის საკითხების

თაობაზე, რომლებიც ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

1. საერთო კრების გახსნა.
2. ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა.
3. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ანგარიშის წარდგენა.
4. ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ანგარიშის წარდგენა.
5. ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის ანგარიშის წარდგენა.
6. ადვოკატთა და კლიენტს შორის კომუნიკაციისა და პროფესიული საიდუმლოების ხელშეუხებლობის გარანტიების თაობაზე საერთო კრების რეზოლუციის განხილვა და დამტკიცება.
7. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ადვოკატთა ასოციაციის წესდებაში შესატანი ცვლილებების დამტკიცება.
8. სტაჟირების ხელმძღვანელ (მენტორ) ადვოკატთა დაჯილდოება.
9. საერთო კრების შეჯამება.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებულ გადაწყვეტილება:

- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2021 წლის საანგარიშო საერთო კრების ჩატარების თარიღად განისაზღვროს მიმდინარე წლის 14 ნოემბერი, ხოლო ჩატარების ადგილად - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (მისამართი: თბილისი, წინანდლის ქ 9).
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2021 წლის საანგარიშო კრების მოწვევის შესახებ განცხადება და დღის წესრიგი განისაზღვროს სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 1).
- ეთხოვოს ასოციაციის თავმჯდომარეს 2021 წლის საანგარიშო საერთო კრების მოწვევა 2021 წლის 14 ნოემბერს, ქ. თბილისში, წინანდლის ქ 9 (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი) და კრების მოწვევის განცხადებისა და დღის წესრიგის ასოციაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნება, ასოციაციის წესდების 13.3. მუხლის შესაბამისად.

საკითხი 2. სხვადასხვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) გურამ კესარელის, ლევანი კაკაჩიას, ხათუნა მანჯგალაძის, სოფიკო ჭიჭილეიშვილის და მამუკა ხოლეგაშვილის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ

წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს გურამ კესარელის, ლევანი კაკაჩიას, ხათუნა მანჯგალაძის, სოფიკო ჭიჭილიეშვილის და მამუკა ხოლგაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად გიორგი გრიგალაშვილის განცხადებას წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს გიორგი გრიგალაშვილის განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ.

(გ) თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ასოციაციის ძველი ოფისის (ძმები ზუბალაშვილების N8) გასხვისების შემდეგ, დაგროვდა დიდი რაოდენობით მოძველებული საოფისე ავეჯი და ტექნიკა, რომლიც აღარ არის ვარგისი ექსპლუატაციისთვის და ექვემდებარება ამორტიზაციას/ჩამოწერას, რადგანაც მათი შენახვაც დაკავშირებულია ფინანსურ ხარჯებთან.

ამდენად, მიზანშეწონილია, შეიქმნას ინვენტარიზაციის კომისია, რომელიც აღრიცხავს აღნიშნულ ინვენტარს და ასოციაციის თავმჯდომარეს წარუდგენს აქტს ასოციაციის ბალანსიდან ჩამოსაწერი ამორტიზირებული ინვენტარის თაობაზე. კომისიის შემადგენლობა დაკომპლექტდეს აპარატის შემდეგი თანამშრომლებით: გიორგი ჭიჭანი (აღმასრულებელი მდივანი), სალომე ტყეშელაშვილი (სასწავლო ცენტრის დირექტორი), მედეა გამდლიშვილი (ფინანსური მენეჯერი), აკაკი მარტოლევი (ლოჯისტიკის მენეჯერი) და დავით ფიფია ( IT მენეჯერი).

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით, შეიქმნას ინვენტარიზაციის კომისია შემდეგი შემადგენლობით: გიორგი ჭეხანი (აღმასრულებელი მდივანი), სალომე ტყეშელაშვილი (სასწავლო ცენტრის დირექტორი), მედეა გამდლიშვილი (ფინანსური მენეჯერი), აკაკი მარტოლევი (ლოჯისტიკის მენეჯერი) და დავით ფიფია ( IT მენეჯერი).

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: [www.gba.ge](http://www.gba.ge).

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი  
თავმჯდომარე